საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 154/01
08/01/2021

154-01-2-202101080924

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12
ელ.ფოსტა: press@georoad.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 9 დეკემბრის N19245 განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის“ საავტომობილო გზის კმ 31-ზე, მდინარე წყაროზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშზე დართულ shp-ფაილებში მითითებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორია არ ემთხვევა გზშ-ის ანგარიშში (გვ 173) მოცემულ აეროფოტოზე წარმოდგენილ ტერიტორიას. კერძოდ: shp-ფაილებში წარმოდგენილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორია ემთხვევა საპროექტო ხიდის ტერიტორიას;
- გზშ-ის ანგარიშში, მე-3 თავის 3.7 ქვეთავში სასმელი წყლის გადაანგარიშებები შესრულებულია 200 სამუშაო დღისათვის, ხოლო დოკუმენტის მე-6 თავში წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედებისა და გამოყენებული ტექნიკიდან მოსალოდნელი ემისიების აღწერისას შესაბამისი გაანგარიშებები შესრულებულია 180 სამუშაო დღისათვის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს პროექტის განხორციელების ეტაპზე სამუშაო დღეების სავარაუდო ოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშის მე-6 თავის 6.9 ქვეთავში აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მაღალი ხარისხის ზემოქმედება. თუმცა, შემაჯამებელ ცხრილში (გვ.72) მითითებულია, რომ ფაუნაზე ზემოქმედება შეფასებულია, როგორც „საშუალო“, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებების ცხრილში (გვ 95) როგორც „დაბალი“ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე